შეთანხმების ფურცელი

„შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

№	**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიცია**	**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიცია**
1	„საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მეწარმე იურიდიული პირების დაფინანსების წესისა და პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №2737 განკარგულების საფუძველზე შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისთვის“ თანხის გადაცემა, ნაცვლად შესაბამისი თანხის კაპიტალში შეტანისა, უნდა განხორციელდეს სუბსიდიის სახით. შესაბამისად, უნდა დაკორექტირდეს განკარგულების პროექტი.	**გათვალისწინებულია.** აისახა განკარგულების პროექტის „ბ“ ქვეპუნქტში.
2	ამოღებულ იქნეს განკარგულების მე-2 პუნქტი.	**გათვალისწინებულია.**
	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოზიცია	**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიცია**
3	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მართვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, კომპანიის მიმდინარე ყველა პროექტი დასასრულებლად გადაეცეს, რომელიმე სხვა უწყებას.	**გათვალისწინებულია.** ემატება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტმანტთან არსებული ხელშეკრულებების რეგულირების საკითხები.
4	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მოზანშეწონილად მიაჩნია, რომ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მართვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში კომპანიის კაპიტალში ინვესტირებული თანხიდან, საწარმოს ვალდებულებების (კრედიტორული დავალიანებების) საკითხის მოწესრიგებაზე გადაწყვეტილების მიღება.	**გათვალისწინებულია.** აღნიშნულს ისედაც ითვალისწინებდა განკარგულების პროექტი, კერძოდ, განკარგულებუის პროექტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 2019 წლის 15 მაისამდე „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში არაუმეტეს 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარის მოძიებას განახორციელებს და კომპანიისათვის ეტაპობრივად გადარიცხვას სუბსიდიის სახით, განკარგულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული კრედიტორული დავალიანებების დასაფარად. აღნიშნული 12 000 000 ლარი მოხმარდება მიმდინარე და მოსალოდნელ კრედიტორული დავალიანებების დაფარვას (დეტალური ინფორმაცია იხილეთ განმარტებით ბარათში).
5	განკარგულების მე-3 პუნქტთან მიმართებით გაურკვეველია, რა სამართლებრივი საფუძვლით უნდა დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომპანიის საქმიანობის	**გათვალისწინებულია.** შენიშვნის შინაარსის გათვალისწინებით, საუბარია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს ეკონომიკისა

	ხელშეწყობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, წარმოშობილი ვალდებულებების და უფლებების განხორციელება.	და მდგრადი განვითარების სამინისტროს ევალებოდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, კომპანიის საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, წარმოშობილი ვალდებულებების და უფლებების განხორციელება. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, ის გარემოება, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმმოადგენს კომპანიის მესაკუთრეს და მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ, პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებს ორგანოს, რომელიც არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემის ნაწილი, მათ შორის, საბიუჯეტო ასიგნებების ერთიანობის ნაწილში. თუმცა აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნა.
6	განკარგულების მე-4 არის ზოგადი და არ ჩანს, რა ქმედებებს გულისხმობს. სააგენტო, როგორც პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე იმოქმედებს.	**გათვალისწინებულია.** შენიშვნის შინაარსის გათვალისწინებით, საუბარია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისადაც ეთხოვება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, განკარგულების პროექტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი მხარდაჭერა. აღნიშნულის განხორციელება სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ევალება მესაკუთრეს/პარტნიორს - ამ შემთხვევაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, როდესაც საქმე შეეხება კომპანიის ძირითადი საშუალებების განკარგვას. თუმცა აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნა.
7	განკარგულების პროექტში საჭიროებს ასევე მითითებას, რომ მართვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე უნდა განხორციელდეს, დეპარტამენტის მიერ კომპანიასთან გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია, შესრულებული სამუშაოების დადასტურება და მოქმედი ხელშეკრულებების ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტა.	**გათვალისწინებულია.**
8	საჭიროებს დაზუსტებას: 12 000 000 ლარის კომპანიისათვის ეტაპობრივად გადარიცხვა უნდა განხორციელდეს სუბსიდიის სახით თუ კაპიტალში ინვესტირებით.	**გათვალისწინებულია**. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შენიშვნის გათვალისწინებით (იხ. შენიშვნა №1).

შეთანხმების ფურცელი

„შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიასთან“ დაკავშირებული ღონისძიებების
განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიცია	**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პოზიცია**
9	მიზანშეწონილია, მართვის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ნაცვლად 1 მაისისა განისაზღვროს 15 მაისით.	**გათვალისწინებულია.**